ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 3

"24" იანვარი 2020 წ.

ქ. თბილისი

2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 127² მუხლის და „2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 იანვრის №20.36.54 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „თაბორი რიზორთსს" შორის 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებაში და ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობების „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრისა, განახორციელოს არანაკლებ 80 (ოთხმოცი) ნომრიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, რომლის განაშენიანების ფართი, გარდა ტექნიკური/დამხმარე ფართისა, უნდა იყოს არაუმეტეს 20 000 (ოცი ათასი) კვ.მ.".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე